ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

დასკვნა:**დ02. 3723166001**
თარიღი:**15/06/2023**

დ ა ს კ ვ ნ ა

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის

23 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე-პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტი და დაადგინა:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის 23 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი პროექტი შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და საბიუჯეტო კოდექსის მოთხოვნების გათვალისწინებით.

2. ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებების პროექტი პასუხობს მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტებით განსაზღვრულ მიმართულებებს და ორიენტირებულია ადგილობრივი მოსახლეობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გამოწვევების მიზანმიმართულად და ეფექტიანად გადაწყვეტისკენ.

3. განსახილველად წარმოდგენილი 2023 წლის ბიუჯეტის ცვლილებების პროექტი შეეხო ბიუჯეტის ისეთ საკვანძო პრიორიტეტებს, როგორიცაა: ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, განათლება და კულტურული ღონისძიებების ორგანიზებისა და ხელშეწყობის პროგრამებს.

4. კომისიის გადაწყვეტილებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტი, რეკომენდირებულია საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განხილვისა და შესაბამისის გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი